ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

14 ივნისი, 2013 წელი

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მარიამ კუბლაშვილი- სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

აკაკი ჩარგეიშვილი – წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ წევრები მაკა ჯაფარიძე და ლევან ჩხეიძე

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო: 18:00

დღის წესრიგი:

1. „MN-აუდიტი”-ს წარმომადგენლ – იური პაპასქუას მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენა ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით.

ბატონ იური პაპასქუამ წევრებს წარუდგინა ანგარიში ასოციაციაში ჩატარებული აუდიტორული შემოწმების შესახებ. მან განაცხადა, რომ შესრულებული სამუშაოს შედეგად, გამოიკვეთა ორი ძირითადი მომენტი: 1.ხარვეზები ბიუჯეტის შედგენაში; ბიუჯეტის არაერთგვაროვანი სტრუქტურა, რაც არ იძლევა საშუალებას შედარებულ იქნას გასული წლების ბიუჯეტები ერთმანეთთან და 2.წლიური ანგარიშის და ბუღალტრული აღრიცხვის არარსებობა. შესაბამისად, მისი რეკომენდაციები მოიცავს ბიუჯეტის კვალიფიციურად შედგენა/დაზუსტებას და მის დამტკიცებამდე ბიუჯეტის ეტაპობრივად განხილვის შემოღებას; აუდიტორის ჩართვას ბიუჯეტის შედგენის პროცესში და ანგარიშგების განხორციელებას აუდიტორის დახმარებით; ასევე, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებას ორგანიზაციის სამართლებრივ სტატუსთან შესაბამისობაში;

ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ბატონ იური პაპასქუამ განაცხადა, რომ ანგარიში არის საკმაოდ ვრცელი, მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას და წარმოდგენილია დანართებით. წევრების მიერ ანგარიშის გაცნობის მიზნით, შესაძლებელია მათთვის ელექტრონული ვერსიის მიწოდებაც CD დისკის სახით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ აუდიტის მოწვევის მიზანია ასოციაციაში შესაძლო არსებული პრობლემების დადგენა და მათი მოგვარება ინსტიტუციონალურ დონეზე, რაც ორგანიზაციის შემდგომი განვითარების წინაპირობაა. მათ იმსჯელეს და მიიღეს შემდეგი

დადგენილება:

1. აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი”-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში ასოციაციაში ჩატარებული აუდიტორული მომსახურების შესახებ გასაცნობად გადაეცეს სარევიზიო კომისიის წევრებს და მათ მიერ მასში შესაძლო კორექტივების თუ შენიშვნების ასახვის შემდეგ, საბოლოო სახით წარედგინოს აღმასრულებელ საბჭოს.

მარიამ კუბლაშვილი- სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

წევრი - აკაკი ჩარგეიშვილი

წევრი - ანა ხარაიშვილი